საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ივერია“

„ივერია“ პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა. გამოდიოდა თბილისში 1877 წ. 3 მარტიდან ყოველკვირეული გაზეთის, 1879–85 – ჟურნალის, 1886-იდან – ყოველდღიური გაზეთის, 1906-იდან გაზეთის დახურვამდე (1906 წ. 27.VIII) – ყოველკვირეული გაზეთის სახით. დამაარსებელი და რედაქტორი – ი. ჭავჭავაძე. სხვადასხვა დროს „ი-ის" თანარედაქტორები იყვნენ: ს. მესხი (1881), ი. მაჩაბელი (1882–84), ა. სარაჯიშვილი (1901–03), გ. ყიფშიძე (1903–05) ფ. გოგიჩაიშვილი (1905–06). „ი." იყო ცარიზმის რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო. მისი პროგრამის ძირითადი ნაწილი ითვალისწინებდა ქართველთა ეროვნ. თვითშეგნების ამაღლებას და *პოლიტ.* დამოუკიდებლობის იდეის სამსახურს. „ი." თემატურად მრავალფეროვანი იყო, რაც განსაზღვრა ქართვ. ხალხის ეროვნულმა, სოც.-ეკონომიურმა და კულტ. ვითარებამ და რედაქტორისა და მისი თანამშრომლების განმან. იდეებმა. გაზეთი აშუქებდა ისტ., ენათმეცნ., ეთნოგრ., გეოგრ., სოციოლოგიის საკითხებს და სხვ. ი. ჭავჭავაძემ დანერგა პუბლიც. ჟანრი „შინაური მიმოხილვა", რ-იც ვრცლად და ფართოდ ასახავდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. გაზეთი სათანადო შეფასებას აძლევდა კაპიტალ. წარმოების ხასიათსა და განვითარების თავისებურებას. დიდი ადგილი ეთმობოდა სახ. განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას. "ი-მ" განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართ. მწერლობის განვითარების საქმეში. „ი-სთან“ თანამშრომლობდნენ მწერლები: ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, ნ. ლომოური, ე. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ს. ჭრელაშვილი და სხვ.; თვალსაჩინო ჟურნალისტები: ა. ყიფშიძე, გ. ყიფშიძე, ა. ნანეიშვილი, ა. ახნაზაროვი, დ. მიქელაძე, გ. ლასხიშვილი და სხვ. გაზეთი მდიდარ ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს თანამედროვე რუს. და ევრ. ლიტ-რაზე, თავს უყრიდა და აქვეყნებდა ქართ. ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

1989 წ. 20 თებერვალს გაზ. „ი." აღადგინა ზ. ჭავჭავაძემ, გამოდიოდა პერიოდულად ი. ჭავჭავაძის საზოგადოების გაზეთის სახით. სარედაქციო კოლეგია: კ. კახაძე, რ. კვირიკია, გ. ნიკოლაიშვილი, დ. ტაკიძე, ლ. ღვალაძე, თ. ჩხეიძე. 1997 „ი-ის" გამოცემა შეწყდა.

ლიტ.: კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ა., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 4, თბ., 1986; ტ ა ბ ი ძ ე ნ., ილია ჭავჭავაძის „ივერია", თბ., 1977.

ს. ხუციშვილი